ბრძანება:**ბ119.119222662**
თარიღი:**23/09/2022**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2022 წლის 30 სექტემბერს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ბ) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ";

გ) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დ) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის #38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ე) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის #20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ვ) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ზ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.22.207) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“;

თ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022 წლის სექტემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი